



# მასწავლებელი

№1(56).2019

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა



ნათო ინგოროვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:  
ნათო ინგოროვა

რედაქტორები:  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

რედაქციები:  
ბერეკა შუკაკიძე,  
მანანა რატიანი,  
მარიკა სიხარულიძე,  
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:  
ირმა ტაველიძე

დიზაინი:  
ბესიკ დანელია

მხატვარი:  
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:  
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:  
ინა იმედაშვილი,  
მაია ფირჩხაძე, თეა ურუშაძე,  
მანანა სენიაშვილი, ანი კობალიანი,  
ლელა კოტორაშვილი,  
მანანა კაპეტივაძე,  
გურამ მეგრელიშვილი,  
ნათია ფურცელაძე, თამთა დოლიძე,  
მეგი კავთუაშვილი,  
ქეთევან ოსიაშვილი,  
მაია ჯალიაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
მისამართი:  
თბილისი, გმირ კურსანთთა ქ. 1,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:  
FutureBook Geo. ავტორი: კობა კურტიანიძე.  
ყველა უფლება ავტორისაა.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედაქციის მიერ დასახელებულ ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელი სტატიის ავტორის.

ISSN 1987-6149 UDC 371.1  
8-374

WWW.TPDC.GE

ჩვენ, ვინც უკვე დავამთავრეთ სკოლა და იქ გატარებული წლები მოგონებებში შევინახეთ, ხშირად გვეფიქრება იმ განცდებსა და განწყობებზე, სკოლიდან რომ გამოგვყავს.

ზოგჯერ ისეთი მოგონებებიც გვიცოცხლდება, ჩვენი ცხოვრების ნაწილი რომ არ გვინდა იყოს, მაგრამ ვერაფერს შევცვლით.

ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, როგორი უნდა იყოს თანამედროვე სკოლა, თანამედროვე მასწავლებელი, მოსწავლეებს როგორ ცოდნასა და რა უნარებს უნდა ვატანდეთ სკოლიდან.

სწორედ ამ საფიქრალის გამო ხშირად იცვლებიან ჩვენს ქვეყანაში განათლების რეფორმატორები და იცვლება მიმდინარე რეფორმის შინაარსიც.

იცვლება რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშის, მასწავლებლის, პროფესიული და კარიერული ზრდის გზაც.

ახალი რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მასწავლებლის პროფე-

სიის რეგულაციას დაეთმო და ჩვენმა ცვლილებებს შეჩვეულმა მასწავლებელმა, რომელსაც ახალი გამოწვევებით უკვე ვეღარ გავაკვირვებთ, გაიხარა. გაიხარა, რადგან აღარ დასჭირდება წინასწარ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება იმ კრედიტულების მოსაგროვებლად, მცირედით რომ გაუზრდიდა ხელფასს და უფრო მეტად – თვითკმაყოფილებას.

მასწავლებლები პროფესიის რეგულაციის ახალ გამოწვევებს ელოდებიან და ბევრს ფიქრობენ და კამათობენ იმის შესახებ, როგორ შეფასდება მათი საქმიანობა. ვერც გავამტყუნებთ. მომავალი თითოეული ჩვენგანისთვის საინტერესოცაა და საკამათოც.

თუმცა ეს გზა მართონ არ უნდა დამსგავსოს, სადაც სტატუსის მისაღებად ერთმანეთს ასწრებენ, სტატუსი თვითმიზნად არ უნდა იქცეს და ამ თვითმიზანს არ უნდა შეეწიროს სურვილი, იყოს, ვინც ხარ. არ დაგემართოს ის, რასაც სოციალურ ფსიქოლოგიაში დანიგ-კრიუგერის ეფექტი ეწოდება: „კოგნიტი-

ური ტენდენცია, როდესაც არაკვალიფიციური ადამიანები განიცდიან მოჩვენებით უპირატესობას სხვათა მიმართ, არასწორად აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს და საკუთარ თავს ანიჭებენ საშუალოზე ბევრად უფრო მაღალ დონეს. ეს ტენდენცია მიეწერება არაკვალიფიციური ადამიანების მეტაკოგნიტიურ უუნარობას, შეამჩნიონ და აღიარონ თავიანთი შეცდომები“.

ხშირად ვკითხულობ მასწავლებლების კამათს სოციალურ ქსელში. ვკითხულობ და ვნატრობ, ერთხელ ვიკამათოთ იმაზეც, რომ სკოლიდან ჩვენს მოსწავლეებს სევდა არ გავატანოთ, სევდა, რომელიც შემდეგ შოშბებად და დაუძლეველ კომპლექსებად ყალიბდება. ძალიან მინდა, აღარ ვკამათოდე იმაზე, რომ არაფერი შეცვლილა და რომ სკოლა, ამერიკასავით, ხელახლა გვაქვს აღმოსაჩენი. არადა, როგორც დანიელ პენაკი თავის წილ „სკოლის სევდაში“ ამბობს, ხშირად ერთი მასწავლებელიც საკმარისია, რომ საკუთარი თავისგანაც გვიხსნას და სხვა ვაი-მასწავლებლებისგანაც.

### გამოსვლა

8

#### ნათია ფურცელაძე ერთი აუთივობა მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის

ყველა მასწავლებელს უნდა, მოსწავლეებს ჰქონდეთ მაღალი ემოციური ინტელექტი ანუ ახერხებდნენ საკუთარი გრძობების გაცნობიერებას, ობიექტურ თვითშეფასებას, იყვნენ ემპათიურები და შეეძლოთ ემოციების ეფექტური მართვა.

15

#### თამაზ დოლიძე ერთი გაკვეთილის ჩაფიქსაცია

რეფლექსიის პროცესში მასწავლებელი აანალიზებს გაკვეთილის ყველა დეტალს, მისი აგებულებით დაწყებული, თითოეული აქტივობის ეფექტიანობით დამთავრებული, განსაკუთრებული ინტერესით კი იმ ხარვეზებს აკვირდება, საგაკვეთილო პროცესში რომ ჩნდება.

23

#### თეა ურუშაძე თემის შუამავა აზიარის აღიარებით

მოსწავლეთა შესახებ საინტერესო ამბების გაგება, მათი გატაცებებისა და მიდრეკილებების შეტყობა გვეხმარება, ახლოს ვიყოთ მათთან. როცა ისინი ჩვენს პატივისცემას იგრძნობენ, მეტი ხალისით ისწავლიან.



### მოსაზრება

12

#### მაია ჯალიაშვილი გაკვეთილზე სოფლის აუთივობის მეთოდები

მასწავლებელმა უნდა შეძლოს, რომ მოსწავლემაც მასთან ერთად გაიაროს ახალი თემის შესწავლის აუცილებლობა. დაფიქსაცია მიზნებისა და ამოცანების გამოკვრა ან პროექტორით ჩვენება თუ ხმამაღლა წაკითხვა ამისთვის არ კმარა. საჭიროა სათანადო განმარტებები, რომ მთავარი მიზნები მოსწავლეებმაც გაიარონ.

55

#### მეგი კავთაშვილი „ხელეფონი დაე!“ ანონიმური საფიქსაცია

უწინ თუ მშობლები ბავშვების ეზოში დიდხანს ყოფნის გამო გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, დღევანდელ მშობლებს სხვა სადარდებელი გვაქვს - ჩვენი შვილები ეზოში აღარ ჩადიან! ეზოც, რეალური თამაშის და ნამდვილი ურთიერთობებიც ონლაინსამყაროში ჩაანაცვლა.

ინსტანტაბაზი

საბავშვო სასაქონლო | კვლევის ბაზა | ბავშვთა | კვლევითი | გ. ხარისი | კონტაქტი

www.mastavlebeli.ge

განათლება -  
თავისუფლება!

ინსტანტაბაზი  
WWW.MASTAVLEBELI.GE  
27-30

### განათლების ფსიქოლოგია

40

#### ქეთევან ოსიაშვილი სახვის რელიგიური განვითარება

აუცილებელი არ არის, ბავშვმა ხატოს იმისთვის, რომ დიდი მხატვარი გახდეს. გვახსოვდეს, რაც უფრო მეტად ვითარდება ბავშვი ადრეული ასაკიდან, მით უფრო მეტად ღვივდება მასში შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც მას დიდობაში გამოადგება.



## მოსაზრება

19

### ინა იმედაშვილი „გამაჩოვბა, მამაჩოვბანი და მამაჩოვბანი...“

როდესაც სკოლაში ვინმეს ჩაგრავენ, რა თქმა უნდა, ჩაგრულის მხარეს ვიჭერთ, მჩაგვრელს კი ესაყვედურობთ და მკაცრ ზომებსაც მიემართავთ. რაც ნორმალურია – ასეც უნდა იყოს, მაგრამ გვაფიქვდება, რომ ადამიანი, რომელიც სხვაზე ძალადობს, ხშირად თავადაც ძალადობის მსხვერპლია და ყველა არ არის ისეთი ძლიერი, რომ სიტყმატურმა ძალადობამ მათზე კვალი არ დატოვოს.

## ჩასწავლი

4

### მაია ფირჩხაძე კომპლექსური შემოქმედებითი ხასიათის დავალაგების პრაქტიკული ასპექტები

კომპლექსური შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ინტერესს, უბიძგებს მათ აზროვნებისა და ოცნებისკენ და ხელს უწყობს მოსწავლესა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას, კრიტიკული და შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებას.

34

### მანანა სეხნიაშვილი მეზაპლანი – ფართი გაკვეთილი

მეზაპლანი არის ჯგუფური მუშაობის ეფექტური ფორმა, რომელიც ხელს უწყობს იდეებისა და გადაწყვეტილებების გენერირებას, აზრებისა და შეთანხმებების, მიზნების, რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ინფორმაციის შეგროვების ვიზუალური ინსტრუმენტი აფერადი ბარათები.

43

### ანი კობალიანი სტრატეგიული თამაში „გიგორ სანძურის სფორმა“

ყველა მეთოდი, რომელიც კი გვეხმარება, საუკუნეების წინანდელი ნაწარმოები გავათანამდროვოთ (უფრო კი მკითხველს მისი თანამედროვეობა დავანახოთ), ღირებული და პერსპექტიულია.

46


### ლელა კოტორაშვილი თავისუფალი გაკვეთილები და „ერთი გიგორი და სხვა პლანეტა“

ალბათ, თქვენც ხშირად შეგიძინებიათ, როგორ აკვირებთ მოსწავლეებს ცოცხალ ავტორთან შესვედრის შესაძლებლობას. მასწავლებელი რაც უფრო ხშირად დაგეგმავს მწერლის გაცნობას, მით უფრო ამაღლებს ბავშვების წიგნიერების დონე.

52

### მანანა კაკეტივაძე DIGITAL STORYTELLING ანუ სიფიქციური მოთხრობები

ციფრული ამბების თხრობა, Digital Storytelling, კომპიუტერით გაზიარებული მედიუმი, რომელიც შეიცავს ტექსტს, ილუსტრაციებს ან ვიდეოს, აუდიოს და სხვა ინტერაქციულ ელემენტებს. ეს არის ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი მრავალფეროვანი პლატფორმა, რომლის შესწავლა და გამოყენება შეუძლიათ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს.



## პრობლემა

37

### გურამ მეგრელიშვილი პანაშენის გაკვეთილები

მე როგორც მასწავლებელი დაბალ ნიშანს არცოდნისთვის არასოდეს ვწერ და ველოდები იმ მომენტს, როცა ჯგუფის დიდი ნაწილი ზეგავლენას მოახდენს იმ მცირეზე, რომელსაც სწავლა ობიექტური მიზეზების გამო ეზარება, არ გამოსდის, არ შეუძლია და ასე შემდეგ.

